სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 დეკემბერი, 2023 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 07-01/64

,,ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2017 წლის 17 ივლისის N01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, 27-ე, 28-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, **,,ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოში (AUF)** ყოველწლიური საწევრო შენატანის განხორციელების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N07-01/46 გადაწყვეტილების, **ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს** (შემდეგში - „აუფ“/ "AUF") და **ბსუ-ს შორის 2023 წლის 3 აგვისტოს დადებული პარტნიორული ხელშეკრულების,** ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 29 ნოემბრის სხდომის N**25-05/12** ოქმის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და საბჭოს სხდომის ოქმის (11.12.2023, N07-02/15) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N01 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები, კერძოდ, გადაწყვეტილების N1 დანართში **(ფაკულტეტის დებულების):**

ა) **მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,ბ) ტურიზმის და ბიზნესის მიმართულებით მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსების/პროგრამების შექმნა და განხორციელება;“;

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ა) ტურიზმის მიმართულებებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;“;

გ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) დასაქმების ფრანკოფონური ცენტრი - CEF (შემდეგში - „სეფი“)

დ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-5 პუნქტი:

„5. ფაკულტეტის ცენტრები (ან/და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები) სარგებლობს ფაკულტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით, თუკი ფაკულტეტის ან/და რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ დადგინდება.”;

ე) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-5 პუნქტი:
„5. დეკანის მოადგილემ შესაძლებელია შეითავსოს ფაკულტეტის დამხმარე/საგანმანათლებლო ერთეულის კოორდინირების ფუნქცია (დასაქმებულის თანხმობით, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით), დამატებითი ანაზღაურების გარეშე (ან დამატებითი შრომითი ანაზღაურებით, დაფინანსების სხვა წყაროს/ გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის შესაბამისად).“;

ვ) მე-10 მუხლის („დარგობრივი დეპარტამენტის შექმნა და რეორგანიზაცია“) **მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„4. დარგობრივ დეპარტამენტს შეიძლება უხელმძღვანელოს დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანებით, ამ დეპარტამენტის წევრთაგან დანიშნულმა პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა (გამონაკლისი დაიშვება დეკანის წარდგინებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით). ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მტკიცდება დარგობრივი დეპარტამენტების (მათ შორის დეპარტამენტების ხელმძღვანელების) განახლებული შემადგენლობა.“;

ზ) მე-12 მუხლის („ფაკულტეტის პერსონალი“) **მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„6. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება დეკანის ოფისის პერსონალი (სპეციალისტები და ფაკულტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები), დარგობრივი დეპარტამენტების სპეციალისტები, საფაკულტეტო დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.“;

თ) მე-12 მუხლის („ფაკულტეტის პერსონალი“) **მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„8. დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტს დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტის დანიშვნის ბრძანებით განისაზღვრება ფაკულტეტის ერთი ან ორი დარგობრივი დეპარტამენტი, რომელშიც იმუშავებს ეს სპეციალისტი.“;

ვ) მე-13 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-13[1] მუხლი:

მუხლი 13[1]. დასაქმების ფრანკოფონური ცენტრი - CEF

1. ფრანკოფონული დასაქმების ცენტრის **(CEF) მიზანია** ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა, ბსუ-ს სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ ფრანგული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე/დამატებით პროგრამაზე/ გავლილი აქვთ ფრანგული ენის სასწავლო კურსები ან იციან ფრანგული ენა, ტრენინგების ჩატარება, სტუდენტების სამეწარმეო უნარების განვითარება, დასაქმების ხელშეწყობა, კურსდამთავრებულთათვის კონფერენციების, სემინარების, ინტერვიუების ორგანიზება და ახალგაზრდებს, მეწარმეებსა და დამსაქმებლებს შორის შეხვედრების ორგანიზება.
2. ფრანკოფონული დასაქმების **ცენტრის ფუნქციებია:**
   ა) სტუდენტების ტრანსვერსიული და სამეწარმეო უნარების განვითარების და პროფესიული ინტეგრაციის ხელშეწყობა;
   ბ) კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება;
   გ) ფრანკოფონიიის საუნივერსიტეტო სააგენტოს ("AUF") (შემდეგში - „აუფ“) წარმოდგენა, შემდეგი ამოცანების შესასრულებლად: 1. გეგმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს შემოთავაზებული ფრანკოფონული გამოცდილების გაზიარებას; 2. უნივერსიტეტში AUF-ის საქმიანობის გამჭირვალობის უზრუნველყოფა; 3. ბენეფიციარის მოთხოვნების იდენტიფიცირება და მისი შესრულების უზრუნველყოფა; 4. ეროვნული, საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო მიმართულებების უწყვეტი განვითარება, AUF -ის სტრატეგიის შესაბამისად.
3. სეფის/ცენტრის ფუნქციების შესრულებას ხელმძღვანელობს ცენტრის კოორდინატორი, რომლის კანდიდატურას შეარჩევს ფაკულტეტის დეკანი, ფრანკოფონიიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან ("AUF") გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და წარადგენს სამსახურებრივ ბარათს (დანიშვნის/შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე).
4. **ცენტრის კოორდინატორის ფუნქციებია:**

ა) ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით ცენტრის საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) ცენტრის ფუნქციების შესასრულებლად შესაბამისი აქტივობების დაგეგმა-განხორციელება, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და რექტორთან შეთანხმებით (აღნიშნული მართვის ორგანოების კომპეტენციის შესაბამისად), ფრანკოფონიიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან ("AUF") გაფორმებული ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების თანახმად.

გ) ფაკულტეტის დეკანის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის/რექტორისათვის ცენტრის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა (კვარტალური/ყოველწლიური, სამსახურებრივი განკარგულების შესაბამისად);

დ) სხვა ფუნქციები, ფრანკოფონიიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან ("AUF") გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

5. ცენტრის საქმიანობაში ჩართული პერსონალის შრომა **არაანა**ზღაურებადია (გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი ეს გათვალისწინებულია საგრანტო ხელშეკრულებით/მემორანდუმით, შრომითი ხელშეკრულებით ან სხვა, არასაუნივერსიტეტო დაფინანსების წყაროებით).
6. ცენტრის საქმიანობის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა;

ბ) ევროკავშირის, სახელმწიფო ან კერძო გრანტის ან შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავლები;

გ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

7. ცენტრის კონკრეტული აქტივობის ხარჯთაღრიცხვას (უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ან/და ცენტრის ფუნქციების/მიზნების განხორციელების საჭიროების შემთხვევებში) უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმებით ადგენს ცენტრის კოორდინატორი და ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით წარუდგენს დასამტკიცებლად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.“.

ზ) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფაკულტეტის უმაღლესი საგანანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტების (რეგულაციების) შესაბამისად.“

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ტურიზმის ფაკულტეტის კოდიფიცირებული დებულება მომზადდეს ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მიერ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ტურიზმის ფაკულტეტს, შესაბამის პერსონალს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯ, კარალიძე**